ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის
ო ქ მ ი № 05

დაბა ქედა 05 დეკემბერი, 2019 წელი

სხდომა დაიწყო 14:00
სხდომა დამთავრდა 15:00

სხდომას თავმჯდომარეობდა რომან დავითაძე - გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე;

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - გენდერული საბჭოს თავმჯდომარე;
თეა შარაშიძე - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მაგდა მახარაძე - საბჭოს წევრი;
ინდირა გორგაძე - საბჭოს წევრი;
თინა თებიძე - საბჭოს წევრი;
ზაზა დავითაძე - საბჭოს წევრი;
ჰამიდა ზოიძე - საბჭოს წევრი;
ოთარ ხარაძე - საბჭოს წევრი;
მადონა ფალავანდიშვილი - საბჭოს წევრი;
მამია გვარიშვილი - საბჭოს წევრი;

სხდომას არ ესწრებოდა:

მზია ბოლქვაძე - საბჭოს წევრი;

სხდომის დაწყებამდე ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს თავმჯდომარემ რომან დავითაძემ საბჭოს წევრებს გააცნო ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის №134 ბრძანება ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს №05 სხდომის მოწვევის შესახებ და ასევე სხდომის დღის წესრიგი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ქალთა ოთახების სტანდარტიზაცია მუნიციპალიტეტებში. მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გენდერული თანასწორობის საკითხებში თეა შარაშიძე.
2. გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობაში ცვლილების შეტანისა და გაფართოების საჭიროების შესახებ მსჯელობა.

ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული

თანასწორობის საბჭოს №05 სხდომა

05 დეკემბერი 2019 წელი

№	სახელი გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	რომან დავითაძე	საბჭოს თავმჯდომარე	
2	თეა შარაშიძე	საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე	
3	მაგდა მახარაძე	საბჭოს მდივანი	
4	ინდირა გორგაძე	საბჭოს წევრი	
5	თინა თებიძე	საბჭოს წევრი	
6	ოთარ ხარაძე	საბჭოს წევრი	
7	მზია ბოლქვაძე	საბჭოს წევრი	
8	მადონა ფალავანდიშვილი	საბჭოს წევრი	
9	მამია გვარიშვილი	საბჭოს წევრი	
10	ზაზა დავითაძე	საბჭოს წევრი	
11	ჰამიდა ზოიძე	საბჭოს წევრი	

დღის წესრიგის მიხედვით პირველ საკითხად განხილულ იქნა ,,ქალთა ოთახების სტანდარტიზაცია მუნიციპალიტეტებში“, მოხსენებლმა (ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მოადგილე) თეა შარაშიძემ - საბჭოს წევრებს გაუზიარა ,,ქალთა საინფორმაციო ცენტრი“- ს მიერ ჩატარებულ საწავლო ტრენინგ მოდულზე მიღებული ცოდნა და გამოცდილება, ასევე მიღებული დირექტივები და ინიციატივები გაუზიარა საბჭოს წევრებს. გაახმოვანა ინიციატივა, რომელიც ქალთა საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენლობასთან ერთად დაიგეგმა, კერძოდ: მიმდინარე წლის 18 დეკემბერს ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებისათვის ჩატარდება სემინარი თემაზე: ,,გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება ადგილობრივ თვითმმართველობებში“.

საკითხთან დაკავშირებით მოხსენება გააკეთეს გენდერული საბჭოს თითოეულმა წევრმა და დადებითად შეაფასეს ინიციატივა ტრენინგის ჩატარების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარე რომან დავითაძემ ადგილობრივი თვითმმართველობის მოხეელებისთვის სემინარის ჩატარების საკითხი ღია კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

საბჭომ გადაწყვიტა:

მიმდინარე წლის 18 დეკემბერს ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებისათვის ჩატარდება სემინარი თემაზე: ,,გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება ადგილობრივ თვითმმართველობებში“.

დღის წესრიგის მეორე საკითხად განხილულ იქნა გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობაში ცვლილების შეტანისა და გაფართოების საჭიროების შესახებ მსჯელობა. საბჭოს მოადგილე თეა შარაშიძემ წინადადება დააყენა საბჭოს გაფართოების შესახებ და წევრებმა გამოთქვეს წინადადება წევრების დამატების თაობაზე. საკითხთან დაკავშირებით საბჭოს თითოეულმა წევრმა გამოთქვა მოსაზრება წევრების დამატების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ რომან დავითაძემ წევრების დამატების საკითხი ღია კენჭისყრაზე დააყენა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

საბჭომ გადაწყვიტა:

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი, გიორგი სურმანიძე თანამდებობრივი ცვლილების გამო (აღარ წარმოადგენს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების განყოფილების უფროსს), ამოღებულ იქნას საბჭოს შემადგენლობიდან და მის ნაცვლად დაემატოს ამავე სამსახურის **უფროსი სპეციალისტი ეკა გოგუაძე-მახარაძე.**

ასევე, მიზანშეწონილად მიიჩნიეს საბჭოს შემადგენლობის გაზრდა და მიიღეს გადაწყვეტილება საბჭოს დაემატოს შემდეგი წევრები:

ვლადიმერ თებიძე - არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნები და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება.

ეკატერინე ქაჯაია-კომახიძე - მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი.

სოფიო ხაბაზი - მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი.

სულიკო ჩხიკვაძე - მერიის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი.

ბერიძე ლაშა - საკრებულოს იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი.

ასევე, „ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს პერსონალური შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ საკრებულოს თავმჯდომარის 2019 წლის 04 თებერვლის №13 ბრძანებაში მოხდეს ზაზა დავითაძისა და ინდირა გორგაძის თანამდებობის ცვლილება.

საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ რომან დავითაძემ საბჭოს წევრებს წარმატებული საქმიანობა უსურვა და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საბჭოს თავმჯდომარე **რომან დავითაძე**

საბჭოს მდივანი **მაგდა მახარაძე**